გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდის თავისებურებები საქართველოში

მანანა ტურავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა , ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

აბსტრაქტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და მისი სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ ჯანდაცვის სისტემაში ინვესტირება მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს. ჯანდაცვის განვითარების დონე, ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორები და სამედიცინო დახმარებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე.

ნაშრომის მიზანია შეფასდეს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემა, კერძოდ გლობალური ბიუჯეტით დაფინანსების მეთოდის თავისებურებები და ჯანდაცვაში ინვესტიციების მნიშვნელობა და მათი ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობის და დაავადებების პრობლემების ხელშეწყობა მოითხოვს შესაბამის მთელ რიგ ქმედებებს ჯანდაცვის სისტემაში. ეს მოიცავს მთავრობის პოლიტიკისა და მართვის როლის გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების, მედიკამენტების, სამედიცინო აღჭურვილობის, და პირველადი მოხმარების საგნების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, უფრო მეტი ვალდებულებების დაკისრებას, როგორც საჯარო, ისე კერძო მომსახურეებისთვის. ჯანდაცვის ეფექტური და ეფექტიანი მართვა შეზღუდული რესურსებით არის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ნაშრომის.

ბევრი ქვეყანა, რომელიც აფინანსებს ჯანდაცვას გლობალური ბიუჯეტით. დაფინანსების სისტემას იღებს, როგორც ფინანსური მექანიზმის გასაღებს. ერთი ძირითადი აღსანიშნავი ნაწილი გლობალური ბიუჯეტის მოდელის - არის ის, რომ ის იძლევა საშუალებას გამარტივებული ადმინისტრაციული მართველობით გაზარდოს მუშაობის ხარისხი.